ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4135438

ნომერი: AR1621427

თარიღი : 07.08.2018

გაცემის თარიღი : 24.08.2018

გაცნობის თარიღი : 27.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 22 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 , (ნაკვ. 20/52); ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 22 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 , (ნაკვ. 20/52);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბიჭიკაშვილი პ/ნ 01027035252
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 43 კორ. 3 ბ. 88

ორგანიზაცია:

- შპს ნოვა დეველოპმენტ კოდი: 405011945

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3686651 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 07 აგვისტოს NAR1621427 განცხადებით მომართა გიორგი ბიჭიკაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3686651 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3686651 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ქუჩა გოძიაშვილი, N22/ქალაქი თბილისი, ქუჩა გოძიაშვილი, N24/ქალაქი თბილისი, ქუჩა გოძიაშვილი, N24, (ნაკვ. 20/52), შპს "ულტრა პლიუსი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.178) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2017 წლის 11 დეკემბრის №3728197 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 12 დეკემბრიდან 2019 წლის 12 დეკემბრის ჩათვლით
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3686651 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორებას. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი - 8032.96 კვ.მ.-ის ნაცვლად უნდა იყოს - 7395.68 კვ.მ, კომერციული ფართობის (1975.23 კვ.მ) ნაცვლად უნდა დაფიქსირდეს საზაფხულო ფართობი 1975.23 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1429.47 კვ.მ.-ის ნაცვლად - 1425.67 კვ.მ., დამხმარე ფართობი: 176.15 კვ.მ.-ის ნაცვლად - 729.36 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი: 1569.54 კვ.მ.-ის ნაცვლად - 1619.28 კვ.მ საერთო ფართობი: 13183.35 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 13145.22 კვ.მ-ს.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3686651 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3686651 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 7395.68 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 1975.23 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1425.67 კვ.მ., დამხმარე ფართობი: 729.36 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი: 1619.28 საერთო ფართობი: 13145.22 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას კომერციული ფართობი.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3686651 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 ნოემბრის №3686651 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge